ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 8

ქ. თბილისი 27.01.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს ,,ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი;

შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ცენტრის თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);
რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს სკოლა „ჯი-ვი-ენი“:**
   ნოდარ ვარდიშვილი, დამფუძნებელი.
2. **შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა:**
   გიორგი მელაძე, დირექტორი
3. **შპს „ხერხემი“:**
   ბელა კაპანაძე, დირექტორი
4. **შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი:**
   შორენა დევაძე, იურისტი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო გოგსაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
ნინო გვარამაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ნოდარ ანგურიძე;
თამარ ამზაშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
მიხეილ ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:10 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა სხდომის მდივნის არჩევის საკითხი. საბჭოს წევრები შეთანხმდენენ, რომ სხდომის მდივნის მოვალეობას შეასრულებდა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა ჯი-ვი-ენში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ნიუტონის თავისუფალ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს „ხერხემ"-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ნდობით აღჭურვილმა პირმა, შორენა დევაძემ წარმოადგინა შუამდგომლობა შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების თაობაზე, იმ მოტივით რომ დასკვნა ჩაბარდათ ორი დღით ადრე და ვერ მოასწრეს სათანადოდ გაცნობა.
სხდომის თავმჯდომარემ, მხარის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა საკითხის განხილვის გადადების საკითხი. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა საკითხის გადადებას. წარმოდგენილი შუამდგომლობის შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი.

1. შპს სკოლა ჯი-ვი-ენში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა, ექსპერტმა ნინო გოგსაძემ აღნიშნა, რომ სკოლა 2015 წლის სექტემბრიდან აღარ ფუნქციონირებდა, ხოლო მოსწავლეები მობილობის წესით იყვნენ გადასულები სხვადასხვა სკოლაში.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, გადაამოოწმეს თუ არა ექსპერტებნა ემისის ბაზაში. ექსპერტმა უპასუხა, რომ ბაზაში ფიქსირდებოდა სკოლა, ხოლო მოსწავლეები არ ფიქსირდებოდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ჯი-ვი-ენს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32 მუხლის შესაბამისად, შპს სკოლა ჯი-ვი-ენს (ს/კ: 205019656) გააუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ნინო გვარამაძემ. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ 2016 წლის 21-22 ნოემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი და აღწერეს მონიტორინგის ვიზიტის შედეგები.
ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის მიერ წარმოდგენილი 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან ერთად შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა 2016-2017 სასწავლო წელს მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ სავალდებულო საგნებს, რომელთათვისაც შემუშავებული იყო სასწავლო პროგრამები. ასევე, მისი განმარტებით საინტერესო მუშაობა მიდიოდა სკოლაში შექმნილ კლუბებში.
სკოლაში სტანდარტების დაკმაყოფილების მხრივ იყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ვიზიტის დროსვე გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის (ს/კ: 216313727) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ხერხემში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს მონიტორინგის შედეგები.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ 2016 წლის 24-25 ნოემბერს განხორციელდა დაწესებულების გეგმიური მონიტორინგი, რომლის დროსასც შემოწმდა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან.
მათი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმებში ფიქსირდებოდა მცირე ხარვეზები. მაგალითად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები წარმოდგენილი იყო მხოლოდ რაოდენობრივი და არა თვისებრივი მახასიათებლებით. ამასთან, საშუალო საფეხურზე მხოლოდ ერთი არჩევითი საგანი იყო შეთავაზებული. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მოსწავლეებთან შეთანხმებით იქნა მიღებული. თუმცა დაწესებულების მიერ გამოსწორებული იქნა აღნიშნული ხარვეზი და დამატებულ იქნა საგანი მსოფლიო ეკონომიკა.

ექსპერტთა განმარტებით, ხარვეზები დაფიქსირდა მატერიალურ რესურთან დაკავშირებითაც. კერძოდ, რეესტრის ამონაწერში მითითებული მიწის ფართობი არ ემთხვეოდა რეალურად არსებულს, ამასთან, სკოლა განთავსებული იყო ძველ შენობაში, სადაც მოუწესრიგებელი იყო სველი წერტილები, შენობაში არ იყო პანდუსი.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

გრიგოლ მურღულიამ ექსპერტებს მიმართა კიდევ თუ იყო რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი მათი შეფასებიდან.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მართალია დაფიქსირდა ხარვეზები მატერიალურ რესუსთან მიმართებით, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რომ სასწავლო პროცესი კარგად მიმდინარეობდა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ რომ 6 წლიან გეგმაში სკოლას ჩადებული ჰქონდა ახალი შენობის აშენება.

მისი განცხადებით, ვიზიტის დროს სკოლას ასევე გაეწია რეკომენდაცია ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით, რაც უკვე გამოსწორებული ჰქონდათ.

გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, როდის ეწურებოდა სკოლას ავტორიზაციის ვადა. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2017 წლის 22 მარტამდე. გრიგოლ მურღულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ რადგან სასწავლო პროცესი სკოლაში მოწესრიგებული იყო და კარგად მიმდინარეობდა, ხოლო სკოლა მოკლე ხანში ელოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტს, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებული დაეხვედრებინა ავტორიზაციის ექსპერტებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ხერხემის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ხერხემის (ს/კ: 224089420) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

16:28 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე